

# ମୁଦ୍ରା

№ 35 საქონლ-კიორაც ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი. № 35

31 აგვისტო

გამოიცემა ურველ კვირაობით

1886 ଟେଲିବା.

ଜୀବି ଗ୍ରାମୀଣ „ତ କ ଅ ଥ ହ ପୁଁ-କ  
କରନୀଲେ ଫୁଲିବି..... 5 ମାଟ୍ୟେନ୍ଦ୍ରାଶ୍ଵର ଫୁଲିବି..... 3 ମାଟ୍ୟେ  
ଶ୍ରୀବା ପାତ୍ରିତ କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ସ ମର୍ମିର୍ଣ୍ଣା ଏଣ ମିଳିଲୁବା;  
କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ସ ମର୍ମିର୍ଣ୍ଣା ମିଳିଲୁବା;  
ତପୋଲୁଗିଲୁବା ରୂପାଶ୍ରୀ କୁଳାଚିତ୍ତା କର୍ମିର୍ଣ୍ଣାଶ୍ରୀକୁଳ କେନ୍ଦ୍ରାଳ୍ସ;  
ଭୂତମି ଶ୍ରୀବା କ୍ଷେତ୍ରାଳ୍ସ ପ୍ରାତିକଳାଶ୍ରୀକୁଳ କେନ୍ଦ୍ରାଳ୍ସରେ;

ცალკე ნუმერი გაზ. , , თესტჩი 15 კაპ. დღის 15 კაპ.

გამოგზავნილი სტატიები, კარისტესონდნები, ლექსები და გამოგზავნილი ხელთ-ნაშენები რეალურაში ინახება მოღლოდ სხვა წყრილი წერილები. თუ რეალურაშ საჭიროდ დაინახა ერთს თვეს. სტატიების უპრ გაფზავნას რეალურა არ გა- სხვა წერილი წერილების რეალურაში.

გარეული გველიერებთაობის აღრესი: თიფლის. Въ редакцію газ. „**ТЕАТРЪ**“ Галлерей быв. Арипурин № 110.

၁၃၂

ՀԱՅ Ն-ՊԺԿԾՈ ԽԵՑ-ՀՃ-ԽԵՑ ԹԱԳՅՎԵՋՆԵՏ ՀԱՅԻ ԴԱՅՄԵՐԻ ՑԱՐՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ ԲԱՐԵՎ ՌՀԱ ՑԱՅԹԸՆ ՈՅՆԵՐԸՆ.

თეატრის კუთხი

Са<sup>х</sup>ар<sup>ов</sup> үз<sup>ч</sup>и<sup>л</sup> үр<sup>н</sup>, Са<sup>х</sup>ар<sup>ов</sup> өм<sup>р</sup> о<sup>л</sup>о<sup>л</sup>, Са<sup>х</sup>ар<sup>ов</sup>  
Сү<sup>л</sup>о<sup>н</sup>е<sup>р</sup>.—А<sup>к</sup>а<sup>л</sup>о<sup>н</sup> ү<sup>з</sup>чи<sup>н</sup>.—<sup>и</sup>н<sup>и</sup>, „М<sup>и</sup>н<sup>и</sup>“.—(Р<sup>и</sup>з<sup>и</sup>м<sup>и</sup>н<sup>и</sup>н<sup>и</sup>)  
К<sup>у</sup>н<sup>и</sup>ю<sup>б</sup>и<sup>н</sup> т<sup>а</sup>зи<sup>л</sup> ү<sup>з</sup>л<sup>и</sup>я<sup>м</sup>т.—, Казанский Биржевой  
Л<sup>и</sup>сток<sup>и</sup>н<sup>и</sup> „Новое Время“.—Ч<sup>и</sup>р<sup>д</sup>. — З.  
Л.: д<sup>и</sup>—<sup>и</sup>з<sup>и</sup>л<sup>и</sup> ү<sup>з</sup>л<sup>и</sup>я<sup>м</sup>т<sup>и</sup>н<sup>и</sup> လ<sup>и</sup> ဤ ပ<sup>и</sup> အ<sup>က</sup>ီ<sup>း</sup> ရ<sup>ေ</sup>ာ<sup>က</sup> ပ<sup>ါ</sup> အ<sup>က</sup>ီ<sup>း</sup> ရ<sup>ေ</sup>ာ<sup>က</sup>.

თეატრის სეზონისათვის ახალი წელიწადია და ამისგამო როგორც ქართული თეატრისთვის, ისე ამ „თეატრისთვის“ განსაკუთრებით საუკარდლებოა. პირველს ნაბიჯს ყოველს საქმეში დიზი მნიშვნელობა აქვს და მეტადრე თეატრის საქმეში. ჩვენის თეატრის მუსარულები ამიტომ გულის განკალით ელიან პირველს წარმოდგენებს, მით უფრო რომ ეს წარმოდგენები ფენიქსები განახლებულის სათეატრო კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ იქნება. კომიტეტმა რევიზორება და დასის ზედამხედველობა ჩააბარა ერთ-ერთს თავის წევრს, საადგილმამულო ბანკის თეატრიც კომიტეტსავით განახლებას აპილობს თურმე. თუმცა მომავალ სეზონისათვის ვერ მოუწვიათ მთელის თეატრის გადაეცება და საპერმისოდ გადაუვიათ, მაგრამ სამაგიროდ ამ კადაუკეთებელს თეატრს სწორდენ, დებენ, ასუფთავებენ, რევოლუცის უმზადებენ, ასე რომ ამას იქით არტისტის იმის შიში აღარ ექნება, ჩამოჭდომის დროს, სკამის ფეხმა არ მიმტუნოს და ზედამიწაზე არ გავიშჩლართოთ, და პუბლიკის თვალშინაც ამას იქით ნამდვილი ტარდა იქნება ჩამოფარებული და არა ზოლ-ზოლად გახუნებული კუბის გადასაკრავი. მართალია, ეს დიდი ცვლილება არ არის და დაამავა ბანკის გამგებამ: რომ თეატრი აქამდის გადაუკეთებელი დაბგდო, მაგრამ ცუტარა ზედაც კრაშუფილ ვიჟორ და ბევრის ლოდლინით ვიწყებოთ.

თეატრს სწმენდენ, დებენ, ასპეტიაკებენ, ერთის სიტუაცია „აპეჩინკებენ“, მაგრამ თეატრის დასა „აპეჩინკებენ“ თუ არა, ჯერ არაფერი შეგვატუვა. ამბობენ ჯერ არტისტებთან პირობა არ შეუკრავთ. როდისლა? სვალ ენკენისთვეა: 15-ს წარმოდგენები დაიწყება. ან როლებს მომზადება არ უნდა, ან პიესებს წაეკითხვა? ამას საცველურში წურავან ჩამოგვართმებს და მხოლოდ მეგობრულ რჩევად მიიღონ: საჭიროა, რომ ამას იქით არტისტებმა გარგად იცოდენ არა მარტო თავიანთი როლი, არამედ ის პირსაც, რომელსაც თამაშობენ. ამისათვის საჭიროა ორი სამი კვირის წინად წარმოდგენების დაწუებამდე არტისტებმა რამდენიმე პიესა საერთოდ წაიკითხონ და როლები ჩამოირიგონ, რომ სეზონის დაწუების დროს სამითაც პიესა მაინც მომზადებული ჰქონდეთ. უკველ საქმეში თავდარიგის ზატერა გარეთ და მეტადრე თეატრის საქმეში.

ესტეტიკურ საზრდოზედ ხომ ვიღაპარაგეთ და თავდარიგი დავიწირეთ, ახლა ხორციელ საზრდოზედ ვიღაპარაგეთ, მაგრამ ამზედ ლაპარაგი დიდხანს არ ზაგვეტირდება, რადგან ლიტერატორთა განსაკუთრებული წრე შემდგარა, რომელსაც მენიუების წერა აქვს მინდობილი. ხომ მოგეხსენებათ, რა არის მენიუ. მენიუ არის სია იმ საჭმელებისა, რომელთაც ერთის სადილის განმავლითაში უნდა თქვენი ჭირი წაიღონ, ანუ რაიმე ახალი ჭირი შეგიძინონ (მუცლის სიმივნე, გულ-ჭიდება; გულზედ შემოწოლა, კუტარი და მებრვე სხვა). ამ დღეებში გაზეთებში იურ დაბეჭდილი სია იმ საჭმელებისა და სასმელებისა, რომელნიც მიურთევიათ პირველ მინისტრებს ფრანცესპალაზში და ჟველა გაზეთებში გადაბეჭდილი. ამავე დღეებში თბილისის ბურღაუჩინი ანუ რემბიუჩინი გრუბში გამართული იურ სადილი ერთის ჩვენის პროფესიონის პატივაცემლად. დვთის—წალობა გაქვთ ამ საზღიულზედ საჭმელებიც ბევრი გასაღდა და გახური ლვინც ბევრი დაიღია, მაგრამ საჭმელსა და სასმელზედ ნაკლებ არც სიტუაციი გასაღებელია... ბოლოს დროს შემოლებულ მოდისამებრ—საჭმელზედაც სასმელზედაც და სიტუაციებზედაც ამ სადილზედ შესანიშნავი იურ ქართულად დაბეჭდილი მენიუ თავის გუპატებით, შემწვარი მწყერებით და „მოსკოვიგით მაღლინისა“ და თითონ მენიუზედ უფრო საყურადღებო იმის სათაურში ჩახატული ცხვარი, კალათი, უკრძენი, გოგრა, ყანწები, დოქი, თარი, ჩინგრური და შეუგულში ერთი უშველებელი რუმბი, დიალ რუმბი. თავის პატეტიკით, რუმბი იმ პლებში, რომელმაც ერთი თავისი პატივცემული წევრი კინადამ გამორიცხა და ას 27 ამ თვეს თვით ამ კლუბის რეტრინდაში, თანადასწრებით მრავალთა ამ კლუბის წევრთა იმართება სადილი და სუფრაზე აქა იქა გამოჰიმულია ქართული მენიუ თავში რუმბით.

ეგრე, პატივცემულნო წევრნო კლუბისანო. უბედურებას რომ გარიდამ გააგდებ, ფანჯრიდამ შემოგვეტრება. თქვენ ერთი აყალიბადი ასტრეტო, მამასახლისების (სუარშინების) კრება ცალკე შეადგირეთ ამ საგნის განსახილავად და ის კი არა თუ ვერც კრებმა, ვერც განსჯამ ვერა გიშველეს-რა.

ნუ იუიქერებთ, რომ ამ კვირია მარტო სტომაქისა და თვალის ზატებობაზე ვიზრუნეთ და

სხვა არაფერზე. სცდებით, ერთი სტრიქონი არ გამოვა ქართულს ერაზედ დაბეჭდილი, რომ ოქვენმა უმორჩილესშია მოსამსახურებ არ გადაიკითხოს. ვეძებ სულიერ საზრდოს „ივერიაშიც“, „მწერებშიაც“, ბ. ანტ. ფურცელაძის თხზულებათა პირველის — ტომის პირველ ნაწილშიაც, ბ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემებშიც და უმაღლერობა იქნება რომ ვსთქვა ამ საზრდოს ვერა ვთვულობ მეთქი. „ივერიაში“ მაგალითად (№ 115) მონარქვევს ნარკვევში ვთვულობ, რა აზრისა არის ჩავალის ბერები ლისტოკი „, ივერიაში“-ზედ. ნუ კი გვერუმრებით: ჭრედავთ მდიდარი რედაქცია გვაძეს, —, ჩავალის ბერები ლისტოკი „-იც კი მოსდის. თუმცა ფოსტაში ასე გვითხრეს: მაგისთანა გაზრეთი არც გაგვიგონია და არც მოლის თბილისშია, მაგრმ ფოსტის მონელებ რა იყის— „, ივერიის“ მონარქვევს უფრო არ დაუჯერება!

„, ივერიაში“ რომ თავი დავნებოთ, „, მწერებს-საც“ შეუძლიან სულიერის საზრდოს მოცემა მათთვის... ვინც მ. ღ—ძის სულიერ საზრდოს საჭიროობენ— ამბობენ ჩვენში ამისთანებიც არიან. ამ უკანასკნელ გატეგორიის ხალხს ვურჩევთ წაიგითხონ. უკანასკნელი (№ 23) ნომერი ამ გაზრეთისა, სადაც საკმაოდ იპოვიან იმისთანა საზრდოს, რომელსაც ხორციელად მათი გაცულებებიან და დანარჩენი კი იმისთანა კუნტულში ჩააყალი, სადაც კაი დაგეშილი მეძებრებითაც ვირ იპოვით. რა გაუწეობა, ცხოვრება გაძნელდა, გაძირდა და მ. ღ—ძეც დარწმუნებულა რომ კარაბალინის გამომცემლიბას „მწერებს-პასტორის“ რედაქტორობა ჯობნებულა.

## სელოვნური პიეზია

უდარდელი დღე.

შორის, დარღულ! შორის! — ნუ მომექარებით: დღეს მე გვამბით, დღეს ეკრ მომექლავთ წეადებით!... მიუქანს ღიანი, მიუქანს მებთან სიმღერა, ბაიათი, ტბაღლად თარის სიმთ ჟღვანა; მიუქანს ღიანო, ჭულით მისი რაკ-რაგი, ეკათან მისი ჭირ-ჭირი და დასარავი, მიუქანს, მებთო, უსავად დაინორ და პუშა, ზურნა, დაივი, ღიანი მაძა-პარაზი;

მიუქანს სატრიქო, მიუქანს მისი მე ცქანა ჩუმია, ტბილი მასთვის ამ გულის ძევა!... დღეს ღიანში გარ, მე დღეს დღე მაჭის ამგვარ— გარ უოპელგარ დაშეტევდა, დამტესარა!... შორის, დარღულ! შორის! — ნუ მომექარებით! დღეს მე გვამბით, დღეს ეკრ მომექლავთ წეადებით!..

გ. თორელი.

## ჭმუნვის მახვილის ხმაზე

რათ მინდა წერა  
მე სულ ერდიაფსა;  
მდევნის უწეველ  
მე ბედის წერა.

უწესა მიშვეთავს,  
სულ ის მახუთავს  
სსვისი იმედი  
და სსვისი მდერა.

მსოდედ ეს მჭერა,  
რომ სულ მოთმენა  
თითქას განთხით  
მე დამწერა.

კრეინა ნინო ორშელიანისა.

## გოთხორგანი

გელიერი ცოლ-შეარი  
(მოთხოვთა გოუ და მოპასანისა)

ყველანი შეპხაროდენ იმათ ბეღნიერებას. ქმარი ლილიდამ სალამილე განუწყვეტლივ მუშაობდა ერთ-ერთს პარიზის ალმინისტრატულ განყოფილებაში, ამასთანავე საუცხოვო ხსიათისა იყო, მშევიდე, მორცხვი, მოსიყვარულე გულის პატრონი. ღიას, ლანტენი საუცხოვო კაცი იყო. როცა 30 წლის შეიქმნა, ლანტენის ცოლად შეირთო მშევიდრი ქალი, პატოსანის კაცითიდან. ლანტენის ამხანაგები შურის და ხარბის თვალებით უყურებლენ ლანტენის ბეღნიერებას. ან როგორ არ უნდა დახარბებოდათ? ლანტენის მეულე, ქანა სწორედ ანგელოზს ჰეგანდა, როგორც სილამაზით აგრეთვე ხასიათით. ჩვილი, კეცლული, საშმის მოყვარე, ქანა სრულს ბეღნიერებას შეადგენდა თავისი ქმრისათვის. ქმრის ორიოდე გროშიდნ, რომელიც ჯამაგირად ეძლეოდა ლანტენს აღმინისტრა-

ციულ საშსახურში, ჟანამ თითქმის მთელი ქონება შეადგინა. მათი სადგომი მშევნიერად მართული იყო, სადოლზედ ყოველთვის სამი, ოთხი ნაირი საჭ-მელები ჰქონდათ... და მერე არც ერთი გრიში ვა-ლი, არც ერთი კოვზი მეზობლისაგან ნათხოვარი!... საკეირველი იყო, როგორ ახერხებდა მშევნიერი ეპნა ყოველისფრის ასე იაფად ყადას, ასე აღვილად შო-გნასა? უოლი თავის დღეში არ აწუხებდა ქმარს ან-გარი შებით და სხვა წერილმანი თხოვნთ... ჟანა ყოველთვის კოტად იყო ჩატული. საშინლად უფ-ვარდა ჟანას აგრეთვე თეატრი და განსაკუთრებით ოპერები... მაგრამ ქმარი დალლილი შრომით, იშვიათად მიპყვებოდა უოლს თეატრალურ წარმოლებებზე... ბოლოს სრულობით თავი დაანება ლანტენმა თეატ-რში სიარულს, რადგან მის მშევნიერს უოლს ერთი ძევლი მეგობარი ქალი გამოუჩნდა, რომელთან ერ-თად დაიღოდა სხვა-და-სხვა სასირზნო ადგილებში, და თეატრში ხომ განსაკუთრებით. რა ბედნიერად გრძნობა თავის თავს ლანტენი, როდესაც მისი ცო-ლი ბრუნდებოდა თეატრიდან ლამის ოჩს ან საში სათხედ, კულურად მორთული, ლამაზი, შეიარული, ლოკები აწითლებული!.. უოლი ისე ეალერსებოდა ქმარს, თითქოს ბოლიში ითხოვდა, რომ ამდენს ხანს მარტოდ დასტრო ქმარი. ამდენ სიკეთესთან მშევნიერს ჟანას ერთი პატარა ნაკლი ჰქონდა—ეს იყო სიყვარული, გაგიებამდინ სიყვარული სხვა-და-სხვა ძეირფას ქებისადმი; თვალი, მარგალიტი, ია-გუნდი და ზურმუხტი ჟანას აგიჯებდნენ. ქმარი ხში-რად დასტროდა თავის ცოლს, როცა დაანახავდა მისს კისრზედ, ან ყურებაზედ ყალბი ქვისაგან ძიებს და საყურებებს: «ჩემო კარგო, რათ იფუქებ სილამა-ზეს მაგ ყალბის ქებით, მაგით ხომ ეკრავის მარტულებ გრძა შენის თავის მეტსა!». მაგრამ ამ შენიშვნაზე ჟანა ისე მომხიბლავად გაიღებდა ხოლმე, რომ ლან-ტენს ერთი სკირი ძიები და სხვა რამ საშეაულები რომ ჰქონდა ყველას გულ-მყრჩედ და კისრზედ ჩამოკიდებდა თავის მშევნიერს ერთგულს უოლს..

ასე, ამ ბედნიერებაში გაატარეს ცოლ-ქმრობა მთელი ექვი წელიწადი არც ერთს უსიამოენებას, არც ერთს მცირე რამ შენიშვნას არ მოულრუბლას მათი ექვსი წლის ცოლ-ქმრობა! მერე რა ნაირად უყვარდა ლანტენს თავისი მშევნიერი ცოლი! მთელს სულცხლეს შესწირავდა იმას, ოღონდ აჩავერი დაკლებოდა ჟანას არაფერს მეწუხებნა იგი... მაგრამ ერთხელ ჟანა არა ჩემულებრივ გვიან დაბრუნდა შინ-გზაში გაცივებულა, ხევლა დაწუხებინა და ორის კვირის შემდეგ მშევნიერი ჟანა ჭლექისაგან გარდა-

იცვალა. საცოდავი ლანტენი თავს იკლავდა. ცო-ლის სიკელილთან ქმარს ყოველთვე დაეხშო. იმან ვერც სახლის მოუარა, ვერც თავის თავს და მალე, ხალიან მალე გაიხლართა ვალებში, თუმცა მარტო ხელი კაცი იყო... ლანტენს ჯამაგირი არ ჰყოფნიდა და, ამიტომ ულის შორის შეუდგა... მაგრამ უფ-ლის შორის ადვილი ხომ არ არის... ლანტენი ნელ-ნელა შეუდგა ზოგიერთი სახლის მოწყობილების და მორთულობის ყიდვას, მერე ამას მოჰყევა ცოლის კაბები, ესენი რომ გათავდა და სხვა აღარაფერი და-რჩა, მაშინ მოაგონდა, რომ უოლს ბეგრი ყალბი ნიერები ჰქონდა, გაალო შეკუების უჯრები, ამოილო ზოგიერთი <ნიერებთაგანი> და გაემგრძავრა დალალ-თან, იქნება თეითო-ორიოლა შანეთად მანიც არის გაეყიდო.

— იქნება იყიდოთ აი ეს საშეაულები, ჰკითხა ლანტენმა ერთს მეწურილმანეს, მეწურილმანემ დაი-ნახა თუ არა ეს „საშეაულები“ თვალები სიხარუ-ლის ცეცხლით აემსო. დიდ ხანს უყურებდა, ბეგრის ათეალიერებდა, ხან სინათლესკენ მიიტანდა, ხან გა-დაბრუნებდა და ბოლოს უთხრა:

— მე შემიძლიან ამაში 16000 მანეთი მოგ-ცეთ, თუ მარტოლა მოპარული არ არის და თქეენი საკუთრებას შეაოვენს! ლანტენი განცვიფრდა: რო-გორ თუ 16000 მანეთი, ხომ არ გაგიფდა ეს დალა-ლი, გაიფიქრა ლანტენმა და გიშისაეით გამოვარდა გარეთ. დიდხანს დაღირდა ლანტენი ქუჩა-ქუჩა და ვერ აუხსნა, როგორ აძლია დალალმა ამდენი უფ-ლი. ბოლოს გადაწყვიტა შესვლა გამოქენილ ოქრო მჰედელთან, რომელიც მაგისთანა საშეაულებს ყო-ველ წლივ უკანასქნელ ნახევარ მილიონზე მეტს ჰყი-დდა. ოქრო-მჰედელმა გამოართეა „საშეაულები“ და მხიარულად წამოიძახა:

— ეს ნიერები ჩემთან არის ნაყიდი! დიას ჩე-მო კეთილო, ეს თეალები, ეს მარგალიტები მეტად ძიერფასია... მე ეხლაც კარგათ მახსოებ როლის გა-ყიდე ესენი... ერთი ხალიან ლამაზი ქალისათვის იყო ნაყიდი. გვარი კი დამავიწყდა...

— ვისთეის, რომელი ქალისათვის? წაიბუტბუ-ბუტა საცოდავა ქმარმა.

— თუ გონება არ მღალატობს, ვგონებ ქალი ლანტენისათვის, მაგრამ საკეირველი ის არის თქეენ საიდან ჩაგივარდათ ხელში? ლანტენი სირცეგილით დაწ.

— ის ქალი ჩემი ცოლი იყო, რაღაც ძა-ტანებით მიუგო ლანტენმა, დიას, ბატონო ის ქალი ჩემი ცოლი იყო ნახევარი წელიწადია რაც გარდა-ცვალა.

— ამ, მაშ თქვენ იმისი მექუილრე პრინცები? ჰითხოვთ კეთხვა აქრომჭედელმა რილც ეშმაკურის ლიმილით. დახლილრებმა დაცინეთ შეპრედს საკოდაქს ქმარს....

— რამდენი შეგიძლიანთ მომცეთ თქვენ ამ ნივთებში? გაძერა ბოლოს ლანტენმა.

— ეს ნივთები ლირაა 30,000, მე შემიძლიან მოცეთ 25000 მანეთი, ხოლო ერთის პირობით, თქვენ უნდა დამიმტკიცოთ, რომ სწორედ ლანტენს ქმარი ხართ. ლანტენი გაყვითლდა, მაგრამ მანც ამოიღო ჯიბილი თავის კარტოჩა,

— აი ბატონი ჩემი აღრესი, სახელი და გვარი.

— დიახ, სწორედ ეს ადრესია, მიუგო ოქრო შედელმა. თქვენ ეხლავე მიიღებთ 25000 მანეთს და გადასცა კიდეც სენებული ფულები.

ლანტენმა გამოართვა ფულები, მაგრამ ვაი ამისთანა გამორთმევას. ფულები ხელებს სწავლდეთ. ლანტენი გავიდა, მაგრამ ცოტას ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა და უთხრა ოქრო მშედელს.

— მე ბევრი ნივთები მაქს... კიდევ იმ წყარო ებილა... იქნება გსურთ იყიდოთ?

— დიდის სიამოვნებით!

— მაშ ხეალ შემოგიტანთ.

— და აი მეორე დღეს ლანტენმა წაიღო გა-სასუიდათ ყველა ცალბი ნივთები, უბრალო სამკაულებია, რომლებისათვის ოქრომჭედელმა მისცა 200,000 მანეთი... ლანტენს ხელები უკანკალებდა, როცა ამ ფულების დათვლას შეუფა... მაგრამ თქვენ გვონიათ, რომ ამის მიზეზი მარცხობა, ან ცოლის დალატი იყო? არა ამისთანა გრძნობას ლანტენის გულში ადგილი არ ჰქონია, იგი ხარობდა რომ ეხლა გამლილრებული იყო, მთელი ქვეყანა ფეხებზედ ეყიდა ქუჩებში ისე იყურებოდა, თითქოს მთელი ქვეყნის მცყორებელი ყოფილიყო. ლანტენი შეიძია ერთს მშენებირს სასტუმროში, მოითხოვა სადილი და კარგათაც გადაკრა, ბიჭს 5 მანეთი აჩუქა... ოთხი წლის განმავლობაში ლანტენი ისე ატარებდა დროუბას, როგორც ერთი ეინშე მდიდარი გრაფი ან ბარონი... ბოლოს როცა ცხოვრებამ, დიაცებმა მიამ ჭამი და ქეიფმა თავი მოაბეჭრა და თანაც მოქანცა, ლანტენმა ცოლის ქებნა დაიწყო, თუმც არმოცა წელმა ბედგრად ჩაუკაცენა კისერში. დიახ ლანტენმა შეირთო ცოლი, ხოლო ცოლი მისი არ იყო «მშენებირი», «გულჩეილი», «კეკლუცი» არამედ მანიჯი და კაპასი ჯიჯოხეთივით... დიახ ასეთ ცოლთან ლანტენს შეეძლო მშეიღიბიანათ დაელივა თავისი სიცოცხლე და არ შეერცევ-

ნა თავისი პაციონება. დღეს იქეთ ცოლ-ქრისტი კაცის არაეითარი ჩირქი არ მოეცებოდა!...

ციცლოკა.

## ხალხური პირზღვა

გამოზაფხულის შირზედა ქაშმა დაწყევ გაღლია, მე ხომ დამწევ და დამდაგე—დაიწის შენი ქალია.

ნერავ ქაღლ, შენმა ქმარმა გულში დანა დამცეს მეო, წაგიდუს და გადაგარდეს—შენი თავი დამრჩებ მეო.

ქაღლ, ერულო! გეხეწუბი-წელიწადი გამოსულა, სეს ფურცელი გასცეინაა, სელმეურედ გამოსულა. ნერავ ქაღლ, ასაღ გამოსდი შენს ასლოს დამაგრია მე; აქმით შენს გამოსდი შენს ასლოს დამაგრია მე.

ქაღმა სთქეა, ასაღ გაზიდეს სიცილით შეუპარები, შარიდგან დაწერამ, დაგდაგმ—ასლოს არ მიგემარები

წუთი სოფელმა დღე ჩემი სიმწარით დამალევინა, არც მომელა, არც მომარჩინა, არც სული დამალევინა.

შენ ქაღლ ამპარტავანდა, რომელი სელთა შირი სარ უპვაგებისა წამალი გაქეს და არ მაშევ-მეირი სარ. (გაგონილი და შეკრებილი ზემო ქართლში კნეინა ნასტასია ამირავისიგან.)

(გაგონილი და შეკრებილი ლ. დოლაფლისაგან)  
ქაღლ, ქაღლ ქასესათ,  
წამოდგები წელის პარსო,  
ბიჭები ჩამოვლიან,  
დაგიგოცენ თაღლ შირსათ.

წელი წევა და წემია,  
ქვაშინი დაწერანია,  
აბჯები დაიწედებიან—  
მამულზედ დაწერანია.

წელ გაღმივ ქაღმა ლამაზე  
ჩიჭილა დამაჭნიათ,

ას იქო—მოგლა სუნგადმა—  
მე იქო—წამაჭრიარ.

(გაგონილი ს. რუიბში ი. დავით შეილსაგან)

გორში ჩაგდე ჩირი კსკაშე,  
რესმია ატაშია,  
ლემაზ გოგოს შეუქარ  
სარატული, აკვნიო.

ნეტავი შენსა დედასა  
შენ გაეზრდები შეიღათა,  
არ გინდა პირის დაბნა,  
არც წარის ღება სშირთა

ზოგიერთმა კაცმა აცის,  
გაძლება და გაგრძება,  
რაგინდა მაძლარიც რომ იყენს,  
მაინც მწადი აგონდება.

გაგონილი სოფელი აბგში.  
(შეკეფილი ზაფელისაგან)

სე არ დაბურულებარ,  
რომ ერ დაგცეთო წალებო,  
მაინც რა გმრიელი ხარ  
კარგი კამების ნაღებ!

## თეატრი და მუსიკა

გბეჭდავთ სიას იმ ჰიენებისას, რომელნიც ნება  
დართულნი არიან ქართულის სცენაზე  
წარმოსადგენად.

РАЗРЯШЕНЫЕ КАВКАЗ. ЦЕНЗУРНЫМЪ КО-  
МИТЕТОМЪ ПЬЕСА НА ГРУЗИНСКИХЪ

СЦЕНАХЪ

Въ 1880 г.

- 1 კინთი—კინთო, ком. въ 3-хъ дѣйст., соч. Акакія Церетели.
- 2 Я человѣкъ и ношу шапку—კაცი ვარ და  
ქუდი მურავს, ком. въ 3-хъ дѣйст., соч. Ив. Вачнадзе.
- 3 Дочь семейства—ოჯახის ასული, драма 3-хъ  
дѣйст., соч. Георгія Церетели.

4 Разбойники—აგზაცი, трагедія въ 5-ти  
дѣйст., соч. А. Пурцеладзе.

5 Кошку свѣсимъ—კატა ავტომო, ком. въ  
2-хъ дѣйст., соч. Д. Хуцесова.

6 Адвокаты—ადვოკატები, ком. въ 3-хъ  
дѣйст., соч. кн. Рафаэля Эристова.

7 Все основано на счастіи—უვალაფერი ბე-  
ლედ არის. ком.—вод., соч. А. Казбека.

8 Подруга жизни—ცხოვრისის თანამოგზაური,  
ком. въ 4-хъ дѣйст., перед. А. Казбека.

9 У кого пловъ, ау кого апетитъ—ულავი ვის  
უდგას და იშტა ვის აქვს, ком. въ 3-хъ дѣйст.,  
соч. А. Тутаева.

10 Вотъ тебѣ и сватавство—ესეც შენი მოციქუ-  
ლობა ინუ ზაკუსკა სადილი და გახმამი, соч. Терь-  
Григоріанца, ком.—вод. въ одномъ дѣйствіи.

11 Потеряли женъ—ცოლები დავკარგეთ, тра-  
ги—комедія въ 2-хъ дѣйст., соч. А. Гар-  
севанова.

Въ 1881 году.

12 Разстроенное семейство и испорченная  
жизнь—დანგრეული ოჯახი და წამხდარი ცხოვრება,  
ком. въ 3-хъ дѣйст., соч. Ив. Кереселидзе.

Въ 1882 году.

13 Мать убийца сына—დედა შეილის მკვლელი,  
трагедія въ 4-хъ дѣйст., 9 карт., составилъ  
А. Степанянцъ.

Въ 1883 году.

14 Сурамская крѣпость—სურამის ციხე, драма  
въ 5-ти дѣйст., 4 карт., соч. Дав. Чон-  
қадзе, (съ исключеніями).

15 Ханума—ხანუმა, ком. въ 3-хъ дѣйст., 4  
карт., соч. Авксентія Щагарели, (съ исключеніями).

16 Вахушти, грузинскій полководецъ или до-  
бродѣтель женщины—საქართველოს სახალანი  
ანუ ქალის სათბობა, драма въ 5-ти дѣйст.,  
соch. Коте Бипани, (съ исключеніями).

17 Свадьба Кречинского—კრეჭინსკის ქორწი-  
ლი, ком. въ 2-хъ дѣйст., перед. Андрея  
Гуладзе.

18 Плутовство—თვალთმაქუბა, ком. въ 2-хъ  
дѣйст., перед. франц. (Дѣйст. первое).

19 Плутовство, Райнды—თვალთმაქუბა, რა-  
ინდი, (Дѣйст. второе), драма.

- 20 Багратъ IV—ბაგრათ IV, драма 4-хъдъйст., пер. Константина Месхи.
- 21 Геркулес—ღერულეხი, штука—водевиль въ одномъ дѣйствіи, пер. Мих. Зубалова.
- 22 Гамлетъ—ღამლეტი, перев. Антона Пурцеладзе.
- 23 Лакомый кусочек—გემრიელი ლუქმა, перед. кн. Дав. Эристова
- 24 Рыцарь безъ страха и упрека—რაინდი უშიშარი და გულმაგარი.
- 25 Званный вечеръ съ Итальянцами—მეჯლიზი იტალიანური მომლერლებით.
- 26 Между двухъ огней—ორ ცეცხლ შუა, персв. съ французскаго кн. Ив. Мачабели.
- (გაგრძელება.)

## ს ტ ე ნ ე ბ ი

ერთი აქაური ქარვასლელი ნოქარი (პრიკაშჩიკი), როგორც თეოთხო ამბობდა «ზორბათ» შეყვარებულია ერთს მშევნიერს ქალში გაივლიდა თუ არა „სულის იადონი“ ღუქნის წინ, პრიკაშჩის სიყვარულის ცეცხლი თავბრუს ასხამდა. ახან გებმა გაუგე ეს „სკერეტი“ და ხშირად ჰეითხმდენ ხოლმე.

— ჲა პეტრუზ!, სიყვარულის ნიშანური მოგეცხო? ბიჭო ეინ შენ ვინ მოსწავლე ეინ ერეკლე, ვინ თოროზანთ თეკლე!... ტუტუც, პეტრუზ, ტუტუც!..

— ახ ვი მუტრუკ, მიუგებდა ხოლმე პეტრუზა, ვირმა რა იცის სურმა რა ხილია!..

ერთხელ იმ ქალს ქარვასლაში საქმე გაუწენდა და რაღაც შემთხვევით პეტრუზას ღუქანს მიადგა. საწყალი პეტრუზა სიხარულით კინაღამ დაიღრჩია.

— ისტო უეს როზეას ლენტა? ჰეითხა „სულის იადონმა.“

— ახ, ესტ! ამოითხრა პეტრუზამ და უწევნა კიდეც, ინებეთ!

— არშინი რა ღირს?

— ახ, არაფერი ღირს!.. ახ!

— ჩტო სეამი გაკვერებია ჰეითხას ქალი.

— ახ ნუ მეითხათ!..

— პაჩომ არშინ?

— ახ, ნიპოჩომ, ახ!

— ახ, ახ!.. ქალი გაოცებულია.

— ტაკ პაჩომ არშინ?

— ახ, ნიპოჩომ!

— კაკ ნი პაჩომი?!

— ტაკ ღუშა მოია! სკაფი ლუბლუ, ცელნი ლავა დარიტ ბუდუ!

— ეოტ ღურაკ! ქალი გაჯარებული მიდის.

— ბარიშა, ბარინა! პაქალტე სუდა, უნას ლოშევა! მოდიო ინებეთ, მიირთეით!.. ყეირინ დალიდრები, მაგრამ ქალი გიფისავით გარბის. ჩამოვარდა სიჩუმე.

— ჲა, პეტრუზ! ჰეითხაებ მეზობელი დახლიდარი, ხომ, „ხეიდანიე“ არ დაგინიშა ეერაპის ბალში, ჲა?

— მაშ, მაშ, დასცინის მეორე.

— კტო ღურაკ? ხმა მალლა ყეირის მესამე.

— პეტრუზ!! ერთათ იმეორებენ დანარჩენები.

## ა რ თ ხ ე თ ი კ უ ლ ი გ ა მ ი ც ა ნ ა

თომა კაწმა ალიდოზე ტარებით ათი ჩაფი ღვინო შეტრიბა, მოიტანეს ეს ათ ჩაფიანი საესე ტიგში და ას-და უნდათ რომ გაიით. სხვა ჭურჭელი გერა იშავეს არ გარდა ერთის სამ ჩაფიანი და მეორე-შეიდ-ჩაფიანი ტავებისა. ამ სამი ტიგის შემწებით—10, 7 და 3 ჩაფიანებისა როგორ უნდა გაითხ იმათ ღვინო, რომ ორთაგ უმისალად ხუთ-ხუთი ჩაფი ერგოთ?

## ს ი ტ ე ვ ე ბ ი ს გ ა მ ი ც ა ნ ა

I გარეული ნადირის სახელს მაუმატეთ ნიშანი მრავალითი რიცხვისა უკალა ეს შეადგენს წერა კითხვის საჭირო მასალას.

II რესერთის სამსრეთ-აზადში მდინარის სასევარ სახელს მაუმატეთ შინაური ცხოველის სახელ-წოდება, სოლო უქანასკნელი ასო ამ სახელწოდების შესცვალეთ მეორე სმინქი ასოთი: უკალა ეს შეადგენს ერთს ფრინ-ნელის სახელს, რომელიც განსაკუთრებით აფრიკაში იმუშება.

III ერთ-გერ გერა-ტომის სასელწოდების მოუმატეთ წინ უსმო ასო. უკალა ეს შეადგენს ჩექნი ქეუენის ერთის კუთხის სახელს.—

## ა ს ს ნ ა ს ი ტ ე ვ ე ბ ი ს გ ა მ ი ც ა ნ ა

I ადამ—იანი—აღამიანი.

II გატ (ს)ო—გაბ (რ) ა—უვისა კატო—გაბაევისა გამიადწენეს სანდრო და ლიზამ, პეტო ბეგ—, ილიკო დ—შეილმა და მათიკო.

## გ ა ს ა ს ი ლ ბ ი

ერთ სადამის დიდ-ძაღლი საღსი დასკირნიბდა ქუთახის ბაღში, ოომელსაც «ბულგარი» ეწოდება სასელად. ერთმა დაპირისელმა აზნაურმა ა—ო გ—ძემ ჩამისისერნა ერთ ბაღის გედაროზე. (მისი იუსტის ასაღი წაღები საგრაფისად გაღლობდენ).

ამ დროს ერთმა სკამზედ მჯდომარეობდა თაგადმა ი—პ წ—მ დაუსხა გამეღლელ დარბასელა:

— აა! რა უბედურება გიპერგვის და გიპერიკინების ფეხშია? ღმერთმან იცის—გული და სული წაგირთვით და უნდა სადმე გადვიკარგოთა...

ჟე დალოცვილი!—მიუგო დარბასელმა აზნაურმა—ჟენ რომელგადათი წელიწადუე მეტია, რაც თავში გიპერგვის და გიპერიკინების და არავინ დაკარგულად და ჩემმა წაღების რომა დაკვირვეს, როგორ უნდა გადაგმართოთ!

*გ. ა. ს. ი. ლ. ბ. ი.*

გახეთში იყო ერთ სუმარა. ეს ჭაცი იყო ნასწარები და კომიტე ცუკ-მორეწმუნების წინააღმდეგი. ერთხელ სოფელ შილდაში, მდგომი მშობლის ეპლესიდას დღეობის დღეს, სხვათა საღსითა შორის სუმარა იქ იყო, მნ თვალი შეასწრო ერთს დედა ჭაცი, რომელიც ბობდეთ, ღთსზედ განს უვლიდა ეპლესიას, გაქნან და იმ დედა-ჭაცს ზურგზედ შეაჭდა. დედა-ჭაცმა მორთო უვრიდია: შეაღდა! რას ჩადისარო?

— ჟენ რაღას სხადისარო, ჭიროს მან

— ჟე, ჟეიღ, შეთმეული მაჭესო.

— ჟო და მერ შეთმეული მაჭესო, გაიხუმრა და გადმოსტრა ჭადეც.

*გ. ა. ს. ი. ლ. ბ. ი.*

ოჯერის შირელი ტესტით სწორებ წარმოდგენის საღამოთი ავად გასძნ, მასი როლი მეორე ტესტის მიანჭეს. დაიწყეს წარმოდგენის; არტისტი მღერის, საღსი უმტესს ამ გერამს საღსის მიღეამ არავთარი გამჭვინა არტისტის არ იქნაა, მივიდა რეგესტრობის და თქმა... ეჩმი ხმა მოგეწონათ?... იქნება გგონით, იმისთანა სულელიგან, რომ 800 მსნეთად წელიწადში 20000 მანეთანის სმით გიმღერდდოთა?

ერთი ასაღ-გაზდა, თაგუ-მომწონე გურულმა შემოიტევა ბეღეუაში მათარით და უკრძალულით, ბეღეუაში წინა-უბანს შემოახეთ ფაღასეა, შეა-ცნის ნაწილი უკრძალუა თაღა—ბურით, ჩაირცხო სატევარი და ფიტო, მოასტრა გასუქებულის იაბოს და მიბინდების დროს გასწია ანდა მოკდანებულ, საღაც ჩვეულებრივი თამაში იყო გამართული, საღსი ბუზანგალიგით ირეოდა. ერთს ადგილის რამოდენიმე ჭაღბეს თავი მოუკარათ, ჭაღბის დასახაზებულ გურულმა მარცველთ სტრილიცა მათრაში ცენტის, გასუქებული ცენტი მარდათ გაშტრა და მსედარი მირს ჩამოაგდო.

ამ მოულოდნეულ შემთხვევით თაგუ-ზარ-დაცუმული გურული ცენტით წამოსტრა და მასსა მიმჭროლს მე-ჟანს:

— ბრანწი! მე, მაინც ჩამოსტრომა მინდოდა!.....

„გლობანე სენაკელი..

რედაქტორ-გამომწერლის მაგიური ვალერიან გუნია  
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშეალებით. საკლასო რეპეტიციონებ-საც ბჟილებ.

ვეტრე მირიანაშვილი  
ადრესი „ოქატრიის“ რედაქციონში.

იბჟულება და სკეტების შირელის რეცეპტში გამოის— „ქართული წერის დედანი“

გ. გამიხვისის.

(გამოცემა ი. მურალოვის)

წერის დედანის შეაღენს: 1 მსხალი გადაუბმელი სელი ბაღეში თავის დღემუტებით; 2 დაცატარაკებული საშეალო მგრებლი სელი უბადეოდ თოხის; საზში; 3, გადამეული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსეგრი სელი სამს საზში და 4 გადასრიდი (ნაკლონი) გამურული ნუსეგრი სელი ბაღეში—ზერ გადაუბმელად და შემდეგ სამს საზში გადაბმით.—დედას აქეს სულ 24 გმურდი. დედანის ფასი—30 კაპ. გინც აცდა-ათს ახ. მეტს იყდის ეგზემშ. დაეთმობა 24 კაპ. (3—1)